სადიპლომო ნაშრომი

თემა: მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი და მისი გავლენა რეგიონის უსაფრთხოებაზე.

ნაშრომი მომზადდა პროფესორ დავით დარჩიაშვილის ხელმძღვანელობით

ნაშრომი მომზადდა მილენა ვაროსიანის მიერ

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი და მისი გავლენა რეგიონის უსაფრთხოებაზე

შემდეგი ნაშრომი ეძღვნება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს და მის გავლენას რეგიონის უსაფრთხოებაზე. იმისათვის, რომ გავიგოთ თუ რა ტიპის კონფლიქტია, საჭიროა თავდაპირველად განვიხილოთ კონფლიქტის არსი, გამომწვევი მიზეზები, განვითარების დინამიკა, რუსეთის როლი ამ კონფლიქტში, ხოლო შემდგომ უნდა ავუხსნათ, თუ როგორ შეიძლება იმოქმედოს ამ კონფლიქტმა მთლიანად რეგიონის უსაფრთხოებაზე. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ისტორიული წყაროები, სხვადასხვა წიგნები, ინტერნეტ საიტები და სტატისტიკები.

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ზოგადი მიმოხილვა

სუვერენული სახელმწიფოსათვის უსაფრთსოების საკითხები სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. უსაფრთხოების უზრუნველყოფა გულისხმობს ბევრ რამეს, მაგრამ, პირველ ყოვლისა, ეს არის სუვერენიტეტის, ქვეყნის მთლიანობის, პოლიტიკური ინსტიტუტების, კულტურული თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნება.

უსაფრთხოება დაკავშირებულია ფასეულობებთან, მაგრამ იგი თავად არ წარმოადგენს ფასეულობას. სახელმწიფოსათვის იგი ის პირობაა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ფასეულობათა შენარჩუნება. მაშასადამე, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა არის „მთავრობის პოლიტიკის ის ნაწილი, რომლის მიზანია ეროვნულ ფასეულობათა დაცვისა და შენარჩუნებისათვის სახელმწიფო და საერთაშორისო დონეებზე ისეთი პოლიტიკური პირობების შექმნა, რომლებიც არსებული და პოტენციური მეტოქეების წინააღმდეგ იქნება მიმართული.“[1]

უსაფრთხოების ობიექტური ,,გაზომვა“ ან შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ მოცემული ძლიერებისა და სისუსტის შეფასებას, არამედ შესაძლებელი საფრთხის აღქმასაც. უსაფრთხოება შეფართებითი მდგომარეობაა და მისი შეფასება არსებულ და პოტენციურ საფრთხესთან მიმართებაში გვიხდება. ამავე დროს უსაფრთხოება არ არის ვაკუუმში არსებული სტატისტიკური მდგომარეობა და იგი განისაზღვრება მუდმივად ცვლადი შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო კონტექსტით.[2]